ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01212461**
თარიღი: **03/09/2021**
პინი: **4905**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01212392235-67
განცხადების თარიღი:	30/08/2021
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.17.12.003.170
მისამართი :	ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირი N9გ ; ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირი, N9ბ
მესაკუთრეები :	ნუგზარ ნებიერიძე,
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ნუგზარ ნებიერიძე
პირადი ნომერი :	01024005315
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, ადამ მიცკევიჩის ქუჩა, კორპუსი 1, ბინა 64
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ნუგზარ ნებიერიძე
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	19395.0
მოთხოვნის შინაარსი :	

მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ, გასცეთ სპეციალური ზონალური შეთანხმება და საპროექტო შენობის პროცენტულობა გადანაწილდეს შემდეგნაირად: საცხოვრებელი 75% და საოფისე 25%
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	განმარტებითი ბარათი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისში, მოსკოვის გამზირი N9ბ-ში. ს.კ 01.17.12.003.170, ფართობი : 4172 კვ.მ. (მესაკუთრე : ნუგზარ ნებიერიძე). საპროექტო ტერიტორიაზე დღეის მდგოარეობით შენობა-ნაგებობა არ ფიქსირდება, ხოლო სამომავლოდ იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსით (საცხოვრებელი და საოფისე) საპროექტო ტერიტორიზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (#20-105) მიხედვით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ კი სამრეწველო ზონა 1 (ს-1), სპეციალური ზონა 2 (სპეცზ-2). დღეს მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით (#39-18) საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). აღნიშნული ზონით არის გავითრებული საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე ნაკვეთებიც. ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტები და გაცემული მშენებლობის ნებართვები უმეტესად საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობებზე. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საცხოვრებელი ფუნქციის პროცენტულობა მერყეობს 65%- დან 78 % მდე. აქ გასათვალისინწებლია ის გარემოება, რომ პროცენტულობა შედგენს 60% მეტს, ხოლო იმ ნაკვეთებისთვის რომლეთაც 60% უფრო ახლო პროცენტით აქვთ განვითარებული თავიანთი ნაკვეთები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაბი) აღებული აქვთ დღეს მოქმედ მგგ-მდე. როდესაც ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სსზ-1 (შესაბამისი პროცენტული გადანაიწლებით 60% საცხოვრებელი და 40 % საოფისე) აღნიშნული რიცხვები გვაძლევს საშუალებას, ვაჩვენოთ ტერიტორიის განვითარების ტენდენცია, რომ ზონაში დაშვებული მაქსიმალური საცხოვრებელი ფუნქციით ხდება მიმდებარე ტერიტორიის განვითარება და რაც მთავარია უკვე მსგავად არის ჩამოყალიბებული მიმდებარე ტერიტორია. ასევე აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ვრცელდება გეგმარებითი კარკასი, რაც მგგ-ს მიხედვით ქალაქის განვითარების ძირითად დერეფანს წარმოადგენს. საოფისე ფართების მინიმალურამდე დაყვანა, გამოწვეულია აგრეთვე ბაზარზე დღეს არსებული შედგების გათვალისწინებით, კერძოდ შემცირებულია მოთხოვნა საოფისე და კომერციულ ფართებზე და აღნიშნულ ტერიტორიაზე 75% კომერციულის არსებობის შემთხვევაში ვერ იქნება 30% მეტი დატვირთულობა. საპროექტო ტერიტორიაზე მისვლა ხდება სერვიტუტით (01.17.12.003.090), რომელიც დაკავშირებულია მოსკოვის გამზირთან და გ. ნადარეიშვილის ქუჩასთან. საპროექტო ნაკვეთის გარდა მიმდებარე კვარტალში 14 საკადასტრო ერთეული სარგებლობს აღნიშნული სეერვიტუტით და სხვა მისასვლელი არ გააჩნია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, მოგვცეთ უფლება საპროექტო მიწის ნაკვეთზე შევცვალოთ ზონით დადგენილი პროცენტული გადანაწილება და საპროექტო შენობა გადანაწილდეს შემდეგი პროცენტულობით: საცხოვრებელი 75% და საოფისე 25%.
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, საოფისე)
	N01.17.12.003.170 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ- საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს'' ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საცხოვრბელ ზონა 2 (სსზ-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო

	ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5* / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 =0.2/0,3* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მ. მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30 მ. *მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25% „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი N1-ის მე-7 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულია ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, მათ შორის არის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში.
გადაწყვეტილების დასაბუთება :	იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებაზე, რაც განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებით საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. საპროექტო წინადადებით მოთხოვნილია მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი 75%, საოფისე 25%) განთავსების მიზნით სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების გაცემა. საპროექტო ნაკვეთთან სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება N01.17.12.003.090 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულიდან, რომელიც წარმოადგენს თანასაკუთრებას და დატვირთულია სერვიტუტით. განმარტებითი ბარათის თანახმად საპროექტო ნაკვეთის გარდა მიმდებარე კვარტალში 14 საკადასტრო ერთეული სარგებლობს აღნიშნული სერვიტუტით, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ მისასვლელ გზას. საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა, მათი N01212371411 25/08/2021 წერილის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია, კერძოდ, მოსკოვის გამზირი მოიაზრება ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფნად (კარგად შეკავშირებული, სწირი და მაღალი მოცულობის ქსელი). აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. საზოგადოებრივი ტრანსპორტის უახლოესი გაჩერება 300 მეტრის ფარგლებშია. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში სპეციალური (ზონალური) შეთანხმების წინააღმდეგი არ არის. მრავალბინიანი ფუნქციის შემცველი ობიექტებისთვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს განსხვავებულ სამშენებლო ნორმებს (კ1-0.5, კ-3-0.3), ვინაიდან ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი პირობაა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა (ეზო, ბავშვთა გასართობი სივრცე, სპორტული ინფრასტრუქტურა, თავშეყრის ადგილები და სხვ.) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N85-74 დადგენილებით ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესებში: საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრა საპროექტო არეალში/საპროექტო

	შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრა აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით). სააგენტოს 2021 წლის 26 აგვისტოს 16-012123921 შუალედური გადაწყვეტილებით განმცხადებელს განემარტა მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების საფუძვლებისა და შინაარსის თაობაზე. 2021 წლის 30 აგვისტოს წარმოდგენილი 01212392235-67 განცხადებით, დაფიქსირებულია დადებითი პოზიცია მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების თაობაზე.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის; ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. საპროექტო ტერიტორიის ფართობი და კონფიგურაცია იძლევა საშუალებას მასზე განთავსდეს სრულყოფილი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (ეზო, ბავშვთა სათამაშო სივრცე, სპორტული სივრცე, სარეკრეაციო სივრცე, თავშეყრის ადგილი და სხვ.). საკვლევი არეალის ფარგლებში ფიქსირდება საცხოვრებელი ფუნქციის შენობა-ნაგებობები, შესაბამისად წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის მოთხოვნილი ფუნქციით სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში არ იცვლება ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი და სტრუქტურა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, მაგრამ არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა, განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების გათვალისწინებით. ასევე გათვალისწინებულ იქნეს: მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი

ბრძანება:**ბ01.01212461**
თარიღი:**03/09/2021**
პინი:**1205**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9გ; ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირი, N9ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-16[1] და 22-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01212392235-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9გ; ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირი, N9ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75% განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიცილიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. „თეთრ კარკასულ“ მდგომარეობაში.

3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით).

4. დაინტერესებულ პირს დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე.

5. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

6. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული

განვითარების სააგენტოს მიერ N01212392235-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

8. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **0121246606**
თარიღი: **03/09/2021**
პინი: **4682**

ადრესატი: ნუგზარ ნებიერიძე
პირადი ნომერი: 01024005315
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ადამ მიცკევიჩის ქუჩა, კორპუსი 1, ბინა 64

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 01212392235-67
განცხადების თარიღი: 30/08/2021

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.17.12.003.170
- მისამართი :ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირი N9გ ; ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირი, N9ბ

განმცხადებელი-დამკვეთი :ნუგზარ ნებიერიძე
პირადი ნომერი :01024005315
მისამართი :საქართველო, ქალაქი თბილისი, ადამ მიცკევიჩის ქუჩა, კორპუსი 1, ბინა 64

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა /

თქვენი განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი